



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI დონე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2025 წლის 16-17 ივნისი

2025 წლის 08 აგვისტო

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... 5

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა  
პროგრამასთან ..... 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის  
შეფასება..... 20

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... 29

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 32

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... 44

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ივანა კარევი, სპლიტის უნივერსიტეტი, ხორვატია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი გაბოშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საექთნო საქმე
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Nursing
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი (VI დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	საექთნო საქმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0913 საექთნო და სამედიცინო საქმე
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (კსუ) საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია, რომ სტუდენტები აღჭურვოს საჭირო ცოდნით, უნარებით და კომპეტენციებით, ექთნის პროფესიაში წარმატების მისაღწევად. პროგრამა მოიცავს სასწავლო საგნების ფართო სპექტრს, მათ შორის ბიოსამედიცინო, კლინიკურ, ქცევით და სოციალურ მეცნიერებებს და ხაზს უსვამს პაციენტის უსაფრთხოების, ინფექციების კონტროლისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ჯანდაცვაში. სტუდენტები მიიღებენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე, პრაქტიკულ გამოცდილებას, შეისწავლიან პაციენტის საჭიროებების შეფასებას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ჯანდაცვის სხვადასხვა დაწესებულებაში მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევას. პროგრამა ასევე ფოკუსირებულია ინტერპერსონალური და საკომუნიკაციო უნარების, ლიდერობისა და ეთიკური პრაქტიკის განვითარებაზე. ეს უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად იყვნენ მომზადებულნი მულტიდისციპლინურ გუნდებში სამუშაოდ და მომვლელის, პედაგოგის, პაციენტის დამცველის და მენეჯერული როლების შესასრულებლად. ლექციების, პრაქტიკული სწავლებისა და კვლევითი შესაძლებლობების კომბინაციით, პროგრამა მიზნად ისახავს კომპეტენტური, ავტონომიური და პასუხისმგებლიანი პროფესიონალი ექთნების მომზადებას.

ექსპერტთა ჯგუფმა, საფუძვლიანად განიხილა საექთნო საქმის პროგრამა და სურს, გააზიაროს პირველი მიგნებები. საერთო ჯამში, პროგრამა კარგად არის აგებული და დიდ პოტენციალს ფლობს. მისი ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა ის, რომ პირდაპირ პასუხობს ბაზარზე მეტი ექთნის საჭიროებას. პროგრამა შემუშავებულია ცნობილ საავადმყოფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მაღალკვალიფიციურ მომზადებას რეალურ გარემოში.

გარდა ამისა, პროგრამას გამოცდილი პროფესიონალები უხელმძღვანელებენ. სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უპირატესობა იქნება, რომ ისინი ჯანდაცვის სექტორში აქტიურად ჩართული პირებისგან ისწავლიან. არსებული მატერიალური ბაზა საკმარისია სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად. უნივერსიტეტის მენეჯმენტი და არსებული რესურსი ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს პროგრამის განვითარებისთვის.

კიდევ ერთი აღსანიშნავი ძლიერი მხარეა საერთაშორისო გარემოს შექმნა, სადაც სტუდენტებიც და პროფესორებიც თავს აშკარად კომფორტულად გრძნობენ და გრძნობენ მხარდაჭერას. პროგრამის სწავლის შედეგების (PLO) მეთოდოლოგია და ჩარჩო კარგად არის შემუშავებული, რაც ხელს უწყობს სტუდენტების სასწავლო მიზნების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ძლიერი და კარგად ჩამოყალიბებულია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტანდარტების მუდმივ მონიტორინგს და გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით პასუხისმგებელი პირის პროფესიონალიზმი კი გარანტიაა იმისა, რომ პროცესი მომავალშიც წარმატებით წარიმართება.

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

თუმცა, წინ გარკვეული გამოწვევებია, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროგრამა ახალია. მოსალოდნელია, რომ იქნება გარკვეული არაპროგნოზირებადი გამოწვევები, როგორცაა სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა, სპეციალიზაციის საგნების მიხედვით მათი განაწილება, ასევე, კურსების ორგანიზება და დაგეგმვა. გარდა ამისა, მართალია ენის კურსი ოფიციალურად არ არის სასწავლო პროგრამის ნაწილი და ექსპერტთა ჯგუფს ესმის ამ გადაწყვეტილების საფუძველი, თუმცა ეს შეიძლება პოტენციური გაუმჯობესების სფეროდ ჩაითვალოს.

მართალია, პროგრამა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს, რაც მისასაღმებელია შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, თუმცა, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება, „ბლუმის ტაქსონომიის“ ზმნების გათვალისწინებით, რათა ისინი უფრო მოქმედებითი გვარის და გაზომვადი გახდეს.

პროგრამის სწავლებაში ჩართული პერსონალის მხრივ, ექთნების ნაკლებობაა და სამომავლოდ, ეს უნდა შეიცვალოს. სტუდენტებისთვის ოპტიმალური სასწავლო პირობების უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია, აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ ამ ცვლილებებით, პროგრამა მეტად განვითარდება და წარმატებული იქნება.

ექსპერტთა ჯგუფს სურს, რომ უნივერსიტეტმა ძლიერი გავლენა მოახდინოს ჯანდაცვის სტუდენტების დასაქმების გაუმჯობესებაზე, მდგრადი და უკეთესი ჯანდაცვის სექტორის შექმნითა და ჯანდაცვის განათლებაში ლიდერის როლის შენარჩუნებით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ეს რთული პროცესია და მათ სჯერათ, რომ ეს რჩევა ხელს შეუწყობს კსუ-ს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას, პოზიტიური ცვლილებები მოახდინოს როგორც ადგილობრივი, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა წარმატებით მოამზადებს კვალიფიციური ექთნების მომავალ თაობას.

### **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2025 წლის 16-17 ივნისს შედგა. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებელთან, კსუ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებთან, რადგან აღნიშნულ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული.

შეხვედრის დროს, შემოწმდა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლების მეთოდები და მათი განხორციელების გზები, პროგრამის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსი, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, სასწავლო გეგმები და შეფასების სისტემა, პრაქტიკის ბაზები, სტუდენტური სერვისები, დამსაქმებლების ჩართულობა და დასაქმების შესაძლებლობები, ხარისხის უზრუნველყოფისა და შესრულების შეფასების მექანიზმები, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

## საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 2 - შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 3 - შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 4 - შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 5 - შეესაბამება მოთხოვნებს

### რეკომენდაციები

**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**

#### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

1. რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პერიფრაზირება და ხელახლა ფორმულირება მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით. ეს გაამარტივებს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს კი ზუსტსა და გამჭვირვალეს გახდის.

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- რეკომენდებულია კრედიტების განაწილების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეროვნულ სტანდარტთან სრული შესაბამისობა. კერძოდ: სპეციალიზებული (დარგობრივი) კომპონენტები უნდა მოიცავდეს სულ 220 ECTS კრედიტს, მათ შორის ყველა შესაბამის საუნივერსიტეტო, ფაკულტეტის, საბაზისო, კლინიკურ, პროფილურ და პრაქტიკულ საექთნო კურსებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს საექთნო კვალიფიკაციისთვის საჭირო პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

##### 4.1 ადამიანური რესურსები

- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადადგას პროაქტიული ნაბიჯები სასწავლო პერსონალში ექთნების ამჟამინდელი დეფიციტის მოსაგვარებლად.

##### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

- რეკომენდებულია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ჯგუფში აკადემიური პერსონალის ჩართვა .
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა თვითშეფასების პროცესში შესაბამისი ანგარიშების მომზადებისას აღმოეხვრას ტექნიკური და ფაქტობრივი უზუსტობები.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

##### 4.4. მატერიალური რესურსი

- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ ინვესტიცია ჩადოს არსებული ობიექტებისა და აღჭურვილობის განახლებაში, რათა სტუდენტებისთვის ოპტიმალური სასწავლო პირობები შექმნას. ეს მოიცავს სიმულაციური ლაბორატორიების მოდერნიზაციას, თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის მიწოდებას და იმის უზრუნველყოფას, რომ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, როგორცაა ელექტრონული სწავლების

პლატფორმები და ვირტუალური სწავლების გარემო, სრულად იყოს აღჭურვილი როგორც პირისპირ, ასევე დისტანციური სწავლების მხარდასაჭერად.

#### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup> არ არის მითითებული ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე - საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი არ აქვს არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად დასკვნა დარჩა უცვლელი.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული

---

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არის ურთიერთდაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის მიხედვითაც „უნივერსიტეტის მიზანია აღზარდოს დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობები, რომლებიც კონკურენტუნარიანები არიან როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრებზე და შეუძლიათ მდგრადი განვითარების გამოწვევების მოგვარება“. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, დონისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით არიან აღჭურვილნი პროგრამის კურსდამთავრებულები და რა წვლილი შეაქვთ მათ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. საგანმანათლებლო პროგრამისთვის მომზადდა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.

საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ინოვაციური მეთოდების დანერგვის, კულტურათაშორისი განათლებისა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრების გზით, თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემოს შექმნა; ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი ექთნების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წვლილის შეტანას ჯანდაცვის სექტორის განვითარებაში. ასევე, პროგრამის მიზანია, საერთაშორისო ასპარეზზე, კვალიფიციური ადამიანური რესურსის შექმნით, ხელი შეუწყოს ჯანდაცვის მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება

უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს. ისინი საჯაროა, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრება

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და უნივერსიტეტი მას აკრედიტაციის მიღებისთანავე დაიწყებს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი (უმაღლესი განათლების I საფეხური, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე). დღეისათვის დამტკიცებულია საექთნო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი; განსაზღვრულია ექთნის დარგობრივი კომპეტენციები, მათი სამედიცინო განათლების გაგრძელების შესაძლებლობა და კრიტერიუმები, ასევე, ექთნის პროფესიული კომპეტენციები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ცალსახად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და საექთნო სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებს. ეს შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს,

პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულებისას, რაც უზრუნველყოფს მათ სათანადო მომზადებას პროფესიული საქმიანობისთვის. ამ პროგრამის კურსდამთავრებულები იძენენ თეორიულ ცოდნას საბაზისო, ბიოსამედიცინო, კლინიკურ, ქცევით და სოციალურ მეცნიერებებში, რაც ქმნის საფუძველს საექთნო პროფესიის როლისა და ფუნქციების გასაგებად, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. სტუდენტები ეცნობიან უსაფრთხოების პროტოკოლებს, ინფექციების კონტროლის პრინციპებს და მათი დაცვის მნიშვნელობას უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ისინი იძენენ ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებსა და ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპების შესახებ.

პროგრამა ასევე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებში ისეთი კრიტიკული კლინიკური უნარების განვითარებას, როგორცაა საექთნო შეფასების ჩატარება, დიაგნოზის დასმა და პაციენტის საჭიროებებზე სათანადო რეაგირება. ისინი ავლენენ ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარებს პაციენტების, მომვლელებისა და ოჯახის წევრებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებითა და მათთან ეფექტური ურთიერთობით. კურსდამთავრებულები კარგად არიან აღჭურვილნი საექთნო პროცესის სამართავად, იცავენ ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს; ისინი, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ატარებენ კვლევას, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ყოვლისმომცველი და კარგად სტრუქტურირებულია; ისინი კურსდამთავრებულებს ექთნის პროფესიაში სხვადასხვა ფუნქციების შესრულებისთვის ამზადებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს საექთნო საქმის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს და ყურადღებას ამახვილებს ეთიკურ, სამართლებრივ და პროფესიონალურ განვითარებაზე. პროგრამა ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განვითარებას, ასევე, გუნდურ თანამშრომლობას, რაც თანამედროვე ჯანდაცვის სფეროში წარმატების მნიშვნელოვანი კომპონენტია. გვჯერა, რომ ეს შედეგები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მაღალკვალიფიციური, პასუხისმგებლიანი და ავტონომიური, პროფესიონალი ექთნების მომზადებას.

პროგრამის სწავლის შედეგები, ისევე, როგორც სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, ჩამოყალიბებულია ზოგადი ზმნების გამოყენებით, როგორცაა „აქვს ფუნდამენტური თეორიული ცოდნა..“, „იცნობს..“, „იცის..“, და ა.შ. სასურველია, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პერიფრაზირება და ფორმულირება მოხდეს „ბლუმის ტაქსონომიიდან“ აღებული ზმნების გამოყენებით. ეს გაამარტივებს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვას და შეფასების პროცესს უფრო ზუსტს და გამჭვირვალეს გახდის. მართალია, პროგრამა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს, რაც მისასაღებელია შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, თუმცა, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება, „ბლუმის ტაქსონომიის“ ზმნების გათვალისწინებით, რათა ისინი უფრო მოქმედებითი გვარის და გაზომვადი გახდეს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა.

- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრება

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პერიფრაზირება და ხელახლა ფორმულირება მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით. ეს გაამარტივებს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს კი ზუსტსა და გამჭვირვალეს გახდის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არ არის მითითებული.

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. ეს მექანიზმი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგებისა და კონკრეტული სასწავლო კურსების შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას, შეგროვებასა და ანალიზს. ყოველი სემესტრის ბოლოს, პროგრამაზე პასუხისმგებელი პროფესორები, პროგრამის ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, აფასებენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია სამ დონეზე (1 გაცნობა; 2 გაღრმავება; 3 განმტკიცება) სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად შეირჩევა მხოლოდ ის სასწავლო კურსები, სადაც სწავლის შედეგებს განმტკიცება ხდება (განმტკიცების დონის სასწავლო კურსები).

უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. შეფასების არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს დამსაქმებლის, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის ანალიზს, მსგავს პროგრამებთან შედარებას და ა.შ. კითხვარებს აგროვებენ და აანალიზებენ პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც შედეგებს განიხილავენ აკადემიურ პერსონალთან და რეაგირებენ პრობლემურ საკითხებზე, ასეთის გამოვლენის შემთხვევაში.

პირდაპირი შეფასების განსახორციელებლად, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა განსაზღვრა სასწავლო კურსები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, რომლებიც განამტკიცებს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა მიუთითებს პროგრამის სასწავლო კომპონენტების/სასწავლო კურსების მეშვეობით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინფორმაციას/აღწერას (სწავლის შედეგების რუკა) და ასევე, იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ მესამე დონის სასწავლო კურსიდან რომელი შეფასების კომპონენტი გამოიყენება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად და დასადასტურებლად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმები: ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შედეგები, დახურული კითხვები, პრეზენტაციები, რუბრიკები, დასკვნითი გამოცდები, კვლევითი პროექტები და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია შემდეგი კომპონენტებით: ფაკულტეტის, საბაზისო, კლინიკური, პროფილური და პრაქტიკული კომპონენტები სხვადასხვა დონეზე (1 გაცნობა; 2 გაღრმავება; 3 განმტკიცება).

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების/სამიზნე ქულების მეშვეობით. შემუშავებულია შეფასების სამი დონე: ნაწილობრივ აკმაყოფილებს ( $\leq 70\%$ ). მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით, შეფასების კომპონენტში/აქტივობაში სტუდენტების 30%-მა მიიღო მაქსიმალური ქულის 70% ან ნაკლები), ძირითადად/მეტწილად აკმაყოფილებს (71%-90%. შეფასების კომპონენტში/აქტივობაში სტუდენტების 60%-მა მიიღო მაქსიმალური ქულის 71%-დან 90%-მდე) და სრულად აკმაყოფილებს (91%-100%. შეფასების კომპონენტში/აქტივობაში სტუდენტების 10%-მა მიიღო მაქსიმალური ქულის 91%-ზე მეტი). საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულია სტუდენტების 70%. დაშვებულია შეფასების დონეების სამიზნე ნიშნულიდან არაუმეტეს 10%-იანი გადახრა. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე მიუთითებს 2025-2029 წლების გეგმას/გრაფიკს - ინფორმაციის შეგროვების, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, თითოეული სწავლის შედეგისთვის პროგრამის/სილაბუსების შეცვლისთვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სპეციფიკურ მეთოდად იყენებს სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასებას და მიღწეული შედეგების ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი ყოველწლიურად ხორციელდება; შეფასების შედეგების საფუძველზე იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები. წინასწარ დადგენილი დიაპაზონით/ინდექსით დასახული სამიზნე ნიშნულიდან ზედიზედ ორჯერ გადახრის შემთხვევაში, გადაიხედება სწავლის შედეგები და მათი მიღწევის გზები. შეფასების შედეგად, შესაძლებელია პროგრამებისა და სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანა. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ადგილზე ჩატარებულმა გასაუბრებამ დაადასტურა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; ისინი პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალისგან იღებენ დახმარებას/კონსულტაციებს პროგრამის სწავლის

შედეგების გაზომვასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან განიხილავს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წესდება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის წესი და მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესები
- ხარისხის შეფასებისა და ზემოქმედების შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა, 2024
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები, 2023
- საგანმანათლებლო პროგრამა
- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- პროგრამის სწავლის შედეგების საორიენტაციო/სამიზნე ნიშნულები
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი
- კურიკულუმის რუკა
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები;
- ადგილზე ვიზიტის და გასაუბრების შედეგები
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის „პროგრამის შემუშავების, გაუმჯობესებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ, ხარისხზე ორიენტირებულ და პოლიტიკასთან შესაბამის მიდგომას, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა და შეფასდა უნივერსიტეტის მიერ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსების განლაგება თანმიმდევრულია. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა სტუდენტზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებულია; მისი მიზანია არა მხოლოდ პროფესიონალი ექთნების, არამედ, ეთიკურად გაწონასწორებული, დამოუკიდებელი და კრიტიკულად მოაზროვნე პირების მომზადება. სასწავლო გეგმა შექმნილია ძირითადი და მოწინავე კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარებისთვის. იგი აერთიანებს თეორიულ სწავლებას, კლინიკურ სწავლებასა და არჩევითი სწავლის შესაძლებლობებს.

NCEQE-ს უახლესი სტანდარტებისა და აკრედიტაციის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, პროგრამამ უნდა გამოყოს მინიმუმ 220 ECTS კრედიტი სპეციალიზებულ (დარგობრივ) კომპონენტებზე. ეს მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ, კლინიკურ და პროფილურ საექთნო კურსებს, რომლებიც აუცილებელია კვალიფიკაციისთვის. უნივერსიტეტში სპეციალობისთვის განკუთვნილი კრედიტები შემდეგნაირადაა განაწილებული:

- საბაზისო სასწავლო კურსები – 45 ECTS
- კლინიკური და პროფილური კურსები – 112 ECTS
- სავალდებულო პრაქტიკული კურსები – 24 ECTS
- ფაკულტეტის ძირითადი კურსები – 12 ECTS
- ფაკულტეტის არჩევითი საგნები – 13 ECTS
- ქართული ენა – 15 ECTS

**სულ: 221 ECTS კრედიტი**

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ქართული (ან გერმანული) ენის კურსები არ უნდა ჩაითვალოს სპეციალობის კრედიტებად. ისინი უნდა ჩაითვალოს ზოგად კურსების ნაწილად და შესაბამისად გადაადგილდეს ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

დარჩენილი **20 ECTS კრედიტი** უნდა გამოიყოს ზოგად და არჩევით კომპონენტებზე, რომლებიც მიზნად ისახავს ტრანსფერული უნარებისა და ინტერდისციპლინარული სწავლების გაუმჯობესებას. ამჟამად, ესენია:

- უნივერსიტეტის არჩევითი საგნები – 5 ECTS
- თავისუფალი კრედიტები – 11 ECTS
- კომპიუტერული უნარები – 3 ECTS

**სულ: 19 ECTS კრედიტი**

პროგრამის სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის შემუშავებული ისე, რომ საბაზისოდან რთულ ცოდნასა და უნარებზე გადადის. კურსები ისეა დალაგებული, რომ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ადრეულ სემესტრებში, თანდათანობით განივითარონ კომპეტენციები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე საბაზისო სწავლების გზით; ხოლო უფრო ინტენსიური კლინიკური და პროფესიული სწავლება ხდება მოგვიანებით. სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსები მოიცავს ქართული ენისა და კომპიუტერული უნარების სწავლებას, რაც აუცილებელია აკადემიური კომუნიკაციისა და ციფრული წიგნიერებისთვის. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული არჩევითი კურსები აღრმავებს სტუდენტების ზოგად ცოდნას ისეთ სფეროებში, როგორცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ისტორია და ხელს უწყობს მათ ინტერდისციპლინურ და ინტელექტუალურ განვითარებას.

პროგრამის ძირითადი ძლიერი მხარე მისი პრაქტიკული კომპონენტია. სასწავლო გეგმა აერთიანებს კლინიკურ და პროფილურ სასწავლო კურსებს, ასევე, სპეციალიზებულ პრაქტიკულ სასწავლო მოდულს, რომელიც ბოლო სემესტრებში ხორციელდება. ბოლო სემესტრში, არჩეულ კლინიკურ სფეროებში, პრაქტიკული სპეციალიზაციის გავლა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაიღრმავონ გამოცდილება პირადი ან პროფესიული ინტერესის სფეროებში და უკეთესად მოემზადონ კარიერული წინსვლისთვის.

გასაუბრებებიდან ირკვევა, რომ სასწავლო გეგმა შემუშავდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მათ შორის, პარტნიორ კლინიკებთან, ფაკულტეტის წევრებთან და სხვებთან თანამშრომლობითი მუშაობის შედეგად. მათი წვლილის დამსახურებაა, რომ პროგრამა პასუხობს ჯანდაცვის სექტორის მზარდ საჭიროებებს როგორც აკადემიური, ასევე, კლინიკური თვალსაზრისით.

საექთნო მეცნიერებაში თანამედროვე მიღწევებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსზე. პაციენტის უსაფრთხოების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისა და ინტეგრირებული მოვლის მოდელების ბოლოდროინდელმა მიღწევებმა ჩამოაყალიბა რამდენიმე ძირითადი მოდული. მაგალითად, კლინიკური პრაქტიკისა და ნუტრიციოლოგიის კურსის შინაარსი გადაიხედა მიმდინარე კვლევის შედეგებისა და გლობალური საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული კომპეტენციის განვითარებას.

პროგრამის დეტალები, მათ შორის სასწავლო გეგმის სტრუქტურა, სწავლის შედეგები, კურსის სილაბუსები და შეფასების კრიტერიუმები, გამჭვირვალეა და საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდისა და აკადემიური კატალოგების მეშვეობით. ეს უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და

ანგარიშვალდებულებას ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის პოტენციური სტუდენტებისთვის, აკადემიური პარტნიორებისა და მარეგულირებელი ორგანოებისთვის.

გარდა ამისა, პროგრამა შეფასებულია ევროკავშირის საექთნო განათლების დირექტივებთან მიმართებით და ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს, აკადემიური მობილობისა და პროფესიული აღიარების მხარდასაჭერად. პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების (განსაკუთრებით ნიდერლანდებისა და გერმანიის) მსგავს პროგრამებთან შედარებით ანალიზმა, საზღვარგარეთ პარტნიორ დაწესებულებებთან აქტიურ თანამშრომლობასთან ერთად, ხელი შეუწყო სასწავლო გეგმის საერთაშორისო აქტუალობას და კონკურენტუნარიანობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები
- ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია კრედიტების განაწილების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეროვნულ სტანდარტთან სრული შესაბამისობა. კერძოდ: სპეციალიზებული (დარგობრივი) კომპონენტები უნდა მოიცავდეს სულ 220 ECTS კრედიტს, მათ შორის ყველა შესაბამის საუნივერსიტეტო, ფაკულტეტის, საბაზისო, კლინიკურ, პროფილურ და პრაქტიკულ საექთნო კურსებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს საექთნო კვალიფიკაციისთვის საჭირო პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5. სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო სფეროს აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

შედეგების მიღწევას.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (კსუ) საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შემუშავებულია უმაღლესი განათლების ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. სტრუქტურა, შინაარსი და კრედიტების განაწილება შეესაბამება პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფს საექთნო პროფესიისთვის შესაბამისი კომპეტენციების თანდათანობით განვითარებას.

სასწავლო გეგმის თითოეულ კურსს ენიჭება ECTS კრედიტების კონკრეტული რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება მისი სირთულის, აქტუალობისა და წარმატებით დასრულებისთვის საჭირო სასწავლო დატვირთვის მიხედვით. ეს კრედიტები მოიცავს საკონტაქტო საათებს, დამოუკიდებელ სწავლას და პრაქტიკულ ჩართულობას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო გეგმებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და წარმოდგენილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ამ შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა წერილობითი გამოცდები, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული დემონსტრაციები, პრეზენტაციები და რეფლექსიური დავალებები. შეფასების ამგვარი სტრუქტურირებული პროცესი უზრუნველყოფს კურსისთვის სახასიათო შედეგებისა და პროგრამის საერთო კომპეტენციების თანხვედრას.

დარგობრივი სავალდებულო კურსები იძლევა კვალიფიციური პროფესიონალების მოსამზადებლად საჭირო ფუნდამენტურ და მოწინავე ცოდნას საექთნო საქმეში. ეს კურსები ლოგიკური თანმიმდევრობით არის დალაგებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების თანმიმდევრული განვითარება და ხშირად მოიცავს წინაპირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიურ პროგრესიას. პრაქტიკული კურსები (24 კრედიტი) ხაზს უსვამს კლინიკურ მომზადებას და საშუალებას აძლევს სტუდენტებს აირჩიონ საექთნო სპეციალიზაციის შვიდი ძირითადი სფეროდან ერთ-ერთი.

სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს 11 თავისუფალ არჩევით კრედიტს. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ კურსები უნივერსიტეტის ნებისმიერი მოქმედი საბაკალავრო ან ინტეგრირებული ერთსაფეხურიანი პროგრამიდან, რაც მათ აკადემიური გზის პერსონალიზებისა და ინტერდისციპლინარული კომპეტენციების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს.

სასწავლო გეგმები მოიცავს უახლეს ლიტერატურას და საექთნო საქმის სფეროში მიმდინარე მიღწევებს. კურსის შინაარსი რეგულარულად ახლდება და სავალდებულო საკითხავი მასალა შეირჩევა განახლებული წყაროებიდან, მათ შორის რეცენზირებული ჟურნალებიდან, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოებიდან და ახლახან გამოცემული სახელმძღვანელოებიდან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წვდომას როგორც დაბეჭდილ,

ასევე, ციფრულ მასალებზე, მათ შორის საერთაშორისო აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, როგორცაა EBSCO EP Package Elite; სტუდენტებს აქვთ გარანტირებული წვდომა მაღალი ხარისხის რესურსებზე, რომლებიც შეესაბამება გლობალურ აკადემიურ სტანდარტებს.

უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა: სასწავლო გეგმისა და კურსის ყველა დეტალი, მათ შორის სწავლის შედეგები, კრედიტების განაწილება, სასწავლო პროგრამები და შეფასების კრიტერიუმები, საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

და ბოლოს, პროგრამა შეფასებულია საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის, საექთნო განათლების ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებით. საერთაშორისო ლიტერატურა და შედარებითი მოდელები გავლენას ახდენს როგორც სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, ასევე განახლების პროცესზე. უნივერსიტეტს ასევე აქვს მემორანდუმები საზღვარგარეთ პარტნიორ დაწესებულებებთან (პოლონეთი, სერბეთი, ლატვია და ა.შ.), რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს პროგრამის საერთაშორისო აქტუალობას და ხარისხის უზრუნველყოფას.

კსუ-ს საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ასახავს მყარ აკადემიურ და პრაქტიკულ საფუძველს, თუმცა განახლებულ ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად აუცილებელია კრედიტების განაწილების კორექტირება. კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა, პრაქტიკულ სპეციალიზაციაზე აქცენტი, მოქნილი საბიბლიოთეკო რესურსები და პერსონალიზებული სასწავლო გზები, ერთობლივად ხელს უწყობს პროგრამის მიზნებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე და სილაბუსები.
- ელექტრონული ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო ბაზების სია, რომელიც მითითებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- [http://www.ciu.edu.ge/menu/electronic catalogue](http://www.ciu.edu.ge/menu/electronic%20catalogue)
- გასაუბრებები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

	<b>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (კსუ) საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურა გამჭვირვალეა, სამართლიანი და შეესაბამება კანონმდებლობას. ყველა მოთხოვნა გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.ciu.edu.ge](http://www.ciu.edu.ge). პროცედურის მთავარი მიზანია ისეთი აპლიკანტების მიღება, რომლებსაც აქვთ შესაბამისი აკადემიური ცოდნა და უნარები, რათა წარმატებით მიაღწიონ პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებს.

მიღების პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე განაცხადის შეტანის უფლება აქვთ აპლიკანტებს, რომლებსაც აქვთ საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობა ან მასთან გათანაბრებული უცხოური დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქეებმა წარმატებით უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. კერძოდ, აპლიკანტებმა ინგლისური ენის საგამოცდო კომპონენტი უნდა ჩააბარონ მინიმუმ 50%+1 ქულაზე, რითაც დააკმაყოფილებენ პროგრამის ენობრივი ცოდნის ზღვარს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური სტატუსის მქონე პირებისთვის - უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხვის ალტერნატიულ გზებს. ყველა ასეთმა აპლიკანტმა უნდა დაამტკიცოს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე, ენების საერთო ევროპული საცნობარო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად. თუ არ არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი, რომელიც

ადასტურებს ამ დონის ცოდნას, კანდიდატები ვალდებული არიან ჩააბარონ ინგლისური ენის გამოცდა, რომელიც ადმინისტრირებულია კსუ-ს ენების ცენტრის მიერ.

გარდა ამისა, კსუ ხელს უწყობს სტუდენტების ჩარიცხვას აკადემიური მობილობის გზით, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. ამ პროცესს არეგულირებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და შეიძლება განხორციელდეს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. მობილობის პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ოფიციალურ ვადებსა და მოთხოვნებს, ასევე, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. სტუდენტების ტრანსფერის ეს სტრუქტურირებული მიდგომა მხარს უჭერს უმაღლესი განათლების ეროვნულ სისტემაში სიცხადის, გამჭვირვალობისა და საგანმანათლებლო უწყვეტობის პრინციპებს.

პროგრამაზე დაშვების პოლიტიკა პირდაპირ კავშირშია კსუ-ს სტუდენტთა ნაკადის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის შიდა დოკუმენტაციაში და არეგულირებს სტრატეგიული ჩარიცხვის მართვას. საექთნო საქმის პროგრამისთვის სტუდენტთა კვოტას უნივერსიტეტი განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე სამუშაო ძალის მოთხოვნების, კლინიკური სწავლების არსებული შესაძლებლობებისა და ფაკულტეტის რესურსების საფუძველზე. მონაცემებზე დაფუძნებული ეს მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტთა დაბალანსებული მიღების შენარჩუნებას, პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული შესაძლებლობების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს განათლების ხარისხს და სტუდენტისადმი ინდივიდუალურ მიდგომას.

რომ შევაჯამოთ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში საექთნო საქმის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურა ავლენს ეროვნულ კანონმდებლობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და ინსტიტუციურ ღირებულებებთან სრულ შესაბამისობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- გასაუბრებები
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გასაუბრებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტს (კსუ) აქვს სტრუქტურირებული და პროგრესული მიდგომა, რაც მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება დასახულ სასწავლო შედეგებს და სწავლის ადრეული ეტაპებიდანვე უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებში.

პროგრამა ხაზს უსვამს კვლევითი შესაძლებლობების საგანმანათლებლო პროცესში თავიდანვე ინტეგრირების მნიშვნელობას. ბაკალავრის დონის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ჩატარებულ კვლევით პროექტებში, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ადრეულ განვითარებას და ხელს უწყობს კვლევაზე ორიენტირებული აკადემიური კულტურის ჩამოყალიბებას. ეს ინიციატივა ასახავს უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს: ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა მეცნიერებაში და სტუდენტების მოზიდვა აკადემიურ კარიერაში. ამ მიზნის მისაღწევად, კსუ-მ შეიმუშავა დაფინანსების მექანიზმები, რომლებიც მხარს უჭერს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს, ასევე, ახლად კურსდამთავრებულებს. დაფინანსების პროგრამები კონკურენტუნარიანი, გამჭვირვალეა და ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ასევე, თვისებრივი შეფასების კრიტერიუმებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების სავალდებულო ჩართულობას გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში, უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ინიცირებული კვლევითი საქმიანობის თანადაფინანსებას და ინსტიტუციურად უჭერს მხარს ინდივიდუალურ აკადემიურ ინიციატივებს. კსუ ასევე მხარს უჭერს ყოველწლიური საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის ორგანიზებას, რომელიც იწვევს სხვადასხვა დისციპლინის სტუდენტებს აკადემიურ გარემოში საკუთარი კვლევის შედეგების წარმოსადგენად.

კვლევაზე ორიენტირებული განვითარების გარდა, კსუ-მ საექთნო პროგრამაში მნიშვნელოვანი კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტი დანერგა. სასწავლო გეგმა მოიცავს კლინიკური პრაქტიკის 85 ECTS კრედიტს, 24-კრედიტიან სპეციალიზებულ საექთნო პრაქტიკას და 3-კრედიტიან კვლევით პროექტს. კლინიკური საგნების სტრუქტურა დიდ ყურადღებას აქცევს პრაქტიკულ ტრენინგს, სადაც პრაქტიკული კრედიტები ხშირად აღემატება თეორიულს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ გამოცდილებას

რეალურ კლინიკურ გარემოში. კრედიტების ამგვარი განაწილება ხაზს უსვამს პროფესიული განათლებისადმი კომპეტენციებზე დაფუძნებულ მიდგომას.

გარდა ამისა, ბოლო სემესტრში სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სპეციალიზაცია და გაიარონ ინტენსიური 24-კრედიტიანი სტაჟირება. ეს არა მხოლოდ აძლიერებს მათ პროფესიულ კომპეტენციებს საექთნო საქმის კონკრეტულ სფეროში, არამედ ხელს უწყობს მათ მზადყოფნას შრომის ბაზრისთვის ან მათ მიერ არჩეულ ქვესფეროში განათლების გაგრძელებას. პრაქტიკული კურსები შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ თანამედროვე, გლობალურად აქტუალური კომპეტენციების შექმნას.

მაღალი ხარისხის სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, **კლინიკური პრაქტიკის ყველა ეტაპზე ხორციელდება პირდაპირი შეფასება და ზედამხედველობა**. სტუდენტებს განუწყვეტლივ აფასებენ როგორც აკადემიური ხელმძღვანელები, ასევე, პარტნიორ ინსტიტუტებთან აფილირებული კლინიკური მენტორები. ეს ხელმძღვანელები სტუდენტების მუშაობას რეალურ კლინიკურ გარემოში აკვირდებიან, აძლევენ მათ უკუკავშირს და აფასებენ, წინასწარ დადგენილი სასწავლო მიზნებისა და კომპეტენციების საფუძველზე.

კსუ-ს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები **კლინიკურ დაწესებულებებთან**. ეს შეთანხმებები განსაზღვრავს როგორც უნივერსიტეტის, ასევე, მისი კლინიკური პარტნიორების პასუხისმგებლობებს, არეგულირებს სტუდენტების დასაქმების პირობებს და განსაზღვრავს ზედამხედველობისა და შეფასების მექანიზმებს. ამ დოკუმენტებს მართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ეს არის ერთგვარი კლინიკური სწავლების ჩარჩო დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივ შესაბამისობას, ხარისხის უზრუნველყოფასა და თანმიმდევრულობას.

ეს თანამშრომლობითი სისტემა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის კლინიკურ პრაქტიკასთან ინტეგრაციას, სტრუქტურირებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და პროფესიულად წარმართულ პირობებში. ის ეხმარება სტუდენტებს შეიძინონ კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო საექთნო სტანდარტებს. ამავდროულად, ამზადებს მათ ეთიკური, კომუნიკაციური და ტექნოლოგიურად კომპეტენტური პრაქტიკისთვის, ჯანდაცვის მრავალფეროვან გარემოში.

კსუ ფართო მხარდაჭერას სთავაზობს როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე, სტუდენტებს მათი კვლევითი შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო განაცხადების თანადაფინანსებას, პროექტის განაცხადის შემუშავებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას, ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციის საფასურის დაფინანსებას და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას. უნივერსიტეტი გამოყოფს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს (მაგ., ყოველწლიურად 240,000 ლარი გრანტებისთვის და 80,000 ლარი კონფერენციებში მონაწილეობისთვის), რაც ცხადყოფს რომ უსდ პრიორიტეტს ანიჭებს კვლევას. 2018 წლიდან, კსუ-მ გამოავლინა სამეცნიერო პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც ადასტურებს Scopus-ში, Web of Science-სა და ERIH Plus-ში ინდექსირებული პუბლიკაციების მზარდი რაოდენობა. უსდ-ში დანერგილია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სპეციალური სისტემა, რომელიც აკავშირებს შესრულებული

სამუშაოს წახალისების მექანიზმებს მაღალი გავლენის მქონე კვლევით შედეგებთან და გრანტების მოპოვებასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საექთნო საქმის პროგრამაში დანერგილი სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია აშკარად შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სწავლების პროცესის ძირითადი მიზანია სტუდენტებმა შეიძინონ თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და პროფესიული კომპეტენციები, რომლებიც მოსალოდნელია კურსდამთავრებული ექთნისგან. მეთოდოლოგია ხელს უწყობს სტუდენტების ჰოლისტიურ განვითარებას, რომელიც მოიცავს ინტელექტუალურ, პრაქტიკულ, ეთიკურ და სოციალურ ასპექტებს.

პროგრამა იყენებს სწავლების მეთოდების ფართო სპექტრს, რომელიც ასახავს როგორც ზოგად აკადემიურ სტანდარტებს, ასევე საექთნო განათლების სპეციფიკურ პედაგოგიურ საჭიროებებს. ესენია ტრადიციული, ლექციებზე დაფუძნებული სწავლება, ზეპირი პრეზენტაციები და სემინარის სტილის დისკუსიები, რომლებიც თეორიული შინაარსის მიწოდების ფუნდამენტურ მეთოდებს წარმოადგენს. გარდა ამისა, სტუდენტები მონაწილეობენ მასტერკლასებსა და დარგის ექსპერტების მიერ წარმართულ სესიებში, რაც მათ თანამედროვე პროფესიულ პრაქტიკასა და კლინიკურ ექსპერტიზას აწვდის.

აქტიური სწავლებისთვის, სწავლების პროცესში ინტეგრირებულია ინტერაქტიული მიდგომები, როგორცაა ჯგუფური დისკუსიები, დებატები, იდეების გენერირება და შემთხვევის ანალიზი. საკითხავი დავალებები და წერილობითი სამუშაოს სხვადასხვა ფორმა, მათ შორის პრობლემების გადაჭრის დავალებები და სავარჯიშოები, ხელს უწყობს აკადემიური წიგნიერების უნარების განვითარებას.

პროგრამა ორიენტირებულია თანამშრომლობით და გუნდურ სწავლებაზე. სტრუქტურირებული გუნდური მუშაობის გზით, სტუდენტები ერთვებიან აკადემიურ პროექტებში, ერთობლივ პრეზენტაციებსა და შემოქმედებით დავალებებში, რაც აძლიერებს მათ ლიდერობის უნარებს და თანატოლებთან თანამშრომლობას. ასევე, ინტეგრირებულია თანატოლების შეფასება და თვითშეფასება, რაც ხელს უწყობს რეფლექსიურ სწავლას და თვითრეგულირებას.

კლინიკური სწავლება განსაკუთრებით ძლიერია და მოიცავს სწავლების საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ დადგენილ სტანდარტებს. ესენია შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა, შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსიები, პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვება, მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშოები, სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასებები და საწოლთან სწავლება. საავადმყოფოში პრაქტიკამდე, სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

პროგრამა აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების ჩართულობასა და დამოუკიდებლობას სწავლაში. სტუდენტებისგან მოსალოდნელია, რომ მონაწილეობა მიიღონ როგორც ინდივიდუალურ, ასევე, გუნდურ აკადემიურ აქტივობებში, დაისახონ სასწავლო მიზნები და მართონ საკუთარი სასწავლო პროცესები. ისინი გამოიმუშავენ დროის მართვის უნარებს, სწავლობენ აკადემიური ამოცანების დაგეგმვასა და ორგანიზებას და იყენებენ როგორც ტრადიციულ, ასევე ციფრულ რესურსებს, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების მხარდასაჭერად.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აქტიურად არის ინტეგრირებული სასწავლო გარემოში. სტუდენტები სწავლობენ ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების, ციფრული ინსტრუმენტებისა და მულტიმედიური რესურსების გამოყენებას კვლევის, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის მიზნებისთვის. პროგრამა ასევე იყენებს თანამედროვე საგანმანათლებლო ინსტრუმენტებს, როგორცაა 3D ანატომიური მოდელები, კლინიკური შემთხვევების ვიდეოები და სხვა ვიზუალური საშუალებები, რომლებიც ზრდის აღქმის სიცხადეს და სიღრმეს.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება ეროვნული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს და მხარს უჭერს საექთნო საქმის საბაკალავრო დონეზე დასახულ სასწავლო შედეგებსა და კომპეტენციებს.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (კსუ) საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა ახალი პროგრამაა, რომელიც შექმნილია საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან თანხვედრით და ჯანდაცვის სექტორის მზარდი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამას აქვს მხარდაჭერის ინტეგრირებული მექანიზმები, რომლებიც მორგებულია საერთაშორისო სტუდენტებზე; ასევე, აქვს მოქნილი სწავლის ვარიანტები, რაც ხელს უწყობს აკადემიურ წარმატებას და ინკლუზიურობას.

აკადემიურ და კლინიკურ გარემოში შეუფერხებელი გადასვლისა და შინაარსიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, კსუ საერთაშორისო სტუდენტებს სთავაზობს **საორიენტაციო შეხვედრებსა და ქართული ენის კურსებს**. ეს კურსები პირველი სემესტრიდან იწყება და მიზნად ისახავს, რომ დაეხმაროს საერთაშორისო სტუდენტებს პაციენტებთან, სამედიცინო პერსონალთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აუცილებელი ენობრივი უნარების განვითარებაში.

პროგრამა ასევე მხარს უჭერს **მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების** შემუშავებას, რომელთა ადაპტირება შესაძლებელია სტუდენტების კონკრეტული აკადემიური, პირადი ან მობილობასთან დაკავშირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აკადემიურ პერსონალთან კოორდინაციით შექმნილი ეს გეგმები შეიძლება მოიცავდეს კურსების თანმიმდევრობის კორექტირებას, კლინიკური პრაქტიკის გადატანას ან უნივერსიტეტის სხვა პროგრამებიდან არჩევითი კურსების ჩართვას. ინკლუზიურობის, ენობრივი მხარდაჭერისა და პერსონალიზებული აკადემიური დაგეგმვის უზრუნველყოფით, კსუ-ს საექთნო საქმის ახალი პროგრამა ასახავს სტუდენტზე ორიენტირებულ და საერთაშორისო დონეზე რეაგირებად საგანმანათლებლო მოდელს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტის შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

გასაუბრებები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობითა და ინსტიტუციური პოლიტიკით და ყოვლისმომცველად არის აღწერილი უნივერსიტეტის დოკუმენტებში. ის გამჭვირვალეა, სისტემატურად სტრუქტურირებული და შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით.

უნივერსიტეტი იყენებს შეფასების 100-ქულიან შკალას. ამ სისტემის ფარგლებში, მაქსიმალური მიღწევადი ქულაა 100 ქულა, ხოლო გამსვლელი შეფასების მინიმალური ზღვარი 51 ქულაა. სტუდენტის აკადემიური მოსწრება ფასდება სემესტრული აქტივობების, შუალედური გამოცდებისა და დასკვნითი გამოცდების კომბინაციით. პროგრამის ყველა კურსი ფასდება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად.

უნივერსიტეტი ასევე იყენებს 4-ქულიანი საშუალო ქულის (GPA) სისტემას, რომელიც წარმოადგენს პროგრამის განმავლობაში აკადემიური მოსწრების დამატებით რაოდენობრივ საზომს. GPA გამოითვლება სტუდენტების ინდივიდუალური საკურსო შეფასებებიდან და წარმოადგენს მათი აკადემიური მოსწრების კუმულატიურ მაჩვენებელს.

თითოეული კურსის სილაბუსი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების კომპონენტების, მათი ხვედრითი წერილისა და შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ. სტუდენტები ფასდებიან მიმდინარე აქტივობების, შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების კომბინაციით. ეს კომპონენტები შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს კურსის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე; ინდივიდუალურ ლექტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, აკადემიური შეხედულებისამებრ განსაზღვრონ და შეცვალონ ელემენტებს შორის ქულების განაწილება .

დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის და მისი მაქსიმალური ქულაა - 40. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მინიმალური ზღვარი 20 ქულაა. სტუდენტს ჩაბარებულად ეთვლება მოცემული საგანი, თუ შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამი 51 ქულას უდრის ან აღემატება.

კლინიკური პრაქტიკის შეფასება ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტების გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს კლინიკური კომპეტენციების ყოვლისმომცველი შეფასება. გამოყენებული მეთოდები მოიცავს სამუშაო ადგილზე დაფუძნებულ შეფასებას (WPBA), მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშოებს (Mini-CEX) და პროცედურული უნარების პირდაპირ დაკვირვებას (DOPS). სტუდენტებს ასევე მოეთხოვებათ კლინიკური ჟურნალის წარმოება, რომელშიც ასახულია მათი სწავლის პროგრესი; ხოლო მათი

შეფასება ხდება შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსიების (CBD) მეშვეობით. კლინიკური შეფასების განსაკუთრებით სტანდარტიზებული მეთოდია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) გამოცდა, რომელიც ახდენს რეალური ცხოვრების კლინიკური სცენარების სიმულირებას და ტარდება სხვადასხვა სადგურზე, პრაქტიკული და საკომუნიკაციო უნარების სპექტრის შესაფასებლად. OSCE უზრუნველყოფს პაციენტის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული მზაობის თანმიმდევრულ და ობიექტურ შეფასებას.

შეფასების რუბრიკასა და სტუდენტის რეალურ შეფასებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ შედეგი. სააპელაციო კომიტეტი, როგორც წესი, ფაკულტეტის ფარგლებში იკრიბება და განხილვის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ როგორც შუალედური, ასევე საბოლოო გამოცდის შეფასება. სააპელაციო პროცესი სამართლიანი და დამოუკიდებელია.

თითოეული აკადემიური კურსის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტი ახდენს შედეგების ინტერპრეტაციას და ატარებს სტატისტიკურ ანალიზს. გასაუბრების დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტი, სტატისტიკური ანალიზის სტანდარტული გრაფიკიდან ნებისმიერი გადახრის შემთხვევაში, ეძებს მიზეზებს და პრობლემის შემთხვევაში, ცდილობს მის აღმოფხვრას როგორც საგნის მასწავლებლებთან, ასევე, სტუდენტებთან კომუნიკაციის საფუძველზე. ეს მუდმივად ზრდის და ავითარებს სასწავლო კურსის და მისი შედეგების ეფექტიანობას.

გამოცდები ტარდება Moodle პლატფორმაზე, სრულად ელექტრონულად, ან OSCE-ს საგამოცდო ცენტრებში. ამ ტიპის გამოცდებზე მოტყუების ან პლაგიატის რისკი თითქმის არ არსებობს.

რომ შევაჯამოთ, საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, შეესაბამება სამართლებრივ და ინსტიტუციურ სტანდარტებს. ის აერთიანებს განმავითარებელ და შემაჯამებელ მიდგომებს, უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და მოიცავს თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და კლინიკური კომპეტენციის შეფასების სანდო ინსტრუმენტებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

2.4. სტუდენტების შეფასება:	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
----------------------------------	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტი ავლენს სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგის, აკადემიური განვითარების და სტუდენტებისთვის ინდივიდუალური მხარდაჭერის სისტემურ მიდგომას, რაც გულისხმობს სტუდენტებისათვის რჩევის მიცემას, კონსულტირებასა და კარიერის დაგეგმვაში დახმარებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სისტემატურად აკონტროლებს სტუდენტთა მიღწევებსა და შეფასებას. ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტს გააჩნია მრავალფეროვანი მხარდამჭერი პროგრამები. ყოველი სემესტრის დასაწყისში, პროფესორები ასაჯაროებენ აკადემიური კონსულტაციების ფიქსირებულ განრიგს, რომელიც სწავლების სრული 15 კვირის განმავლობაში მოქმედებს. საკონსულტაციო საათების ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დააზუსტონ და განიხილონ სასწავლო მასალები ან იმსჯელონ უფრო ფართო საგანმანათლებლო საკითხებზე და მიიღონ ინდივიდუალური აკადემიური მხარდაჭერა. კონსულტაციების განრიგი გამოქვეყნებულია როგორც თითოეული

სასწავლო კურსის სილაბუსში, ასევე, ფიზიკურად განთავსებულია ფაკულტეტზე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ სხვადასხვა სახის რჩევა ან კონსულტაცია ადმინისტრაციული პერსონალისგან – ინდივიდუალური მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში, მათთვის ოპტიმალური სასწავლო პროცესის შექმნისა და/ან სწავლის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების დროული აღმოფხვრის მიზნით. შესაბამისად, ნებისმიერი პრობლემის რისკის შემცირების მიზნით, დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პროცესების მართვის სამსახურის სპეციალისტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, ციფრული სერვისების განვითარების ოფისი, ბიბლიოთეკა, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამას განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ქმნიან სტუდენტისთვის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს.

პროგრამის ბოლო წელს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკული ტრენინგი სასურველი სამედიცინო მიმართულებით. აკადემიური პერსონალი, პროფესორები და კლინიკური მენტორები წინასწარ ამზადებენ სტუდენტს და შესაბამისად, ეხმარებიან მას ჩამოაყალიბოს თავისი აკადემიური პროფილი. მიზნობრივი მხარდაჭერა ეხმარება სტუდენტს მისი სამომავლო კარიერა მისი ინტერესების შესაბამისად წარმართოს.

უნივერსიტეტის კამპუსში ტარდება დასაქმების ფორუმები, სადაც კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები ხვდებიან სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და სთავაზობენ მათ სამუშაო შესაძლებლობებს. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და თანამშრომლობს ჯანდაცვის სფეროს დამსაქმებლებთან.

სტუდენტები გამოცდების უმეტეს ნაწილს Moodle პლატფორმაზე აბარებენ - ელექტრონული გამოცდების მართვის სისტემაში. ტექნიკური შეფერხების ან სხვა ხელისშემშლელი ფაქტორის შემთხვევაში, გამოცდის წესები წინასწარ არის განსაზღვრული, რაც ადგენს იმ გარემოებებსა და პროცედურებს, რაც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას ხელახლა ჩააბაროს გაცდენილი ან გადადებული გამოცდა.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონგრესებში, კონფერენციებში, პროექტებსა და სამეცნიერო კვლევებში. არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია აქტიურად ვრცელდება უნივერსიტეტის საინფორმაციო არხების მეშვეობით, როგორცაა უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

პროგრამაში ჩართული არიან უცხოელი სტუდენტებიც, რის გამოც უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას, რის მაგალითსაც წარმოადგენს ქართული ენის კურსების შემოღება. ამ ტიპის დახმარება მათთვის ასევე მნიშვნელოვანია კლინიკებში პაციენტებთან პროფესიული საქმიანობის ადეკვატურად განსახორციელებლად.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო მობილობის პროგრამებში. 2022-2023 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში დაარსდა ფონდი გაცვლითი პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ ფარავს

მობილობის ხარჯებს. სტუდენტები შეირჩევიან უნივერსიტეტის სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ.

შეჯამების სახით, უნივერსიტეტი სტუდენტებს მრავალფეროვან მხარდაჭერის სერვისებს სთავაზობს. სტუდენტები ამ მხარდაჭერას სწავლის ყველა ეტაპზე იღებენ. ეს ეხება როგორც აკადემიური მიღწევების დაგეგმვასა და გაუმჯობესებას, ისე კარიერული განვითარების საკითხებს. ამ პროცესში მონაწილეობენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეული და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: [www.ciu.edu.ge](http://www.ciu.edu.ge)
- აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება;
- ციფრული სერვისების განვითარების სამსახურის დებულება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემა "გონი";
- გამოცდების ჩატარების წესები Moodle-ში;
- გამოცდების ჩატარების წესები Moodle-ში;
- დასაქმების ფორუმების შესახებ მასალები
- სტუდენტებისა და პროფესორების საქმიანობა 2021-2024 წლები;
- მობილობისა და კრედიტების აღიარების წესები
- პროგრამის სილაბუსი;

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ არის მითითებული

<b>მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები</b>	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (კსუ) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის — საექთნო საქმის — განხორციელება ზოგადად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართულებით. უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო ჩარჩო აკადემიურ პოზიციებზე კვალიფიციური პერსონალის დანიშვნისთვის და უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტ მხარდაჭერასა და პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალე და საკონკურსო პროცედურების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დანიშნები ხორციელდება რექტორის ბრძანებით და დამოკიდებულია აკადემიურ კვალიფიკაციაზე, შესაბამის პროფესიულ გამოცდილებაზე, კვლევით საქმიანობასა და საგნობრივ კომპეტენციაზე. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და სასწავლო კომპეტენციები დადასტურებულია ბოლო ხუთი წლის მანძილზე მათი უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციებით, კონფერენციებში მონაწილეობით, გრანტებში ჩართულობითა და მუდმივი ტრენინგებით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამას ახორციელებს 32 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 6 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი, 12 ასისტენტი და 11 მოწვეული ლექტორი. მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი აფილირებულია კსუ-სთან, რაც აძლიერებს აკადემიურ კუთვნილებასა და უწყვეტობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ზოგადი კურსები მხარდაჭერილია 1 პროფესორის, 4 ასოცირებული პროფესორისა და 4 მოწვეული ლექტორის მიერ, მათ შორის 3 აფილირებული ფაკულტეტის წევრის ჩათვლით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა ამჟამად შეესაბამება სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ზომას. სასწავლო პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობრივი თანაფარდობა ადეკვატურია როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანად განხორციელების, ისე აკადემიური ვალდებულებების შესრულების

უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს მენტორობას, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და სტუდენტების შეფასებას. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას, რომ თუ პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მიაღწევს ან გადააჭარბებს 150 სტუდენტს წელიწადში, პროფესორებისა და მთლიანად სწავლებაში ჩართული პერსონალის ამჟამინდელი რაოდენობა არ იქნება საკმარისი მაღალი ხარისხის აკადემიური სტანდარტების შესანარჩუნებლად და სტუდენტების ინდივიდუალური მხარდაჭერის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ასეთ სიტუაციაში, იკვეთება ფაკულტეტის გადატვირთვის საფრთხე, მცირდება ინდივიდუალური კონსულტაციების დრო და შესაძლოა გაუარესდეს სწავლის შედეგები. ამიტომ, სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, აუცილებელია, აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა - განსაკუთრებით სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის და აფილირებული პროფესორების. საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსების კრიტერიუმების განხილვისას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამჟამად სწავლებაში ჩართული პერსონალი არ მოიცავს საკმარისი რაოდენობის ექთნებს. პროგრამის მდგრადი, სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, მომავალში ამ საკითხის მოგვარება კვალიფიციური ექთნების რაოდენობის გაზრდით.

კსუ-ს აკადემიური ხარისხის შენარჩუნების შიდა მექანიზმები მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწავლების ეფექტურობის რეგულარულ შეფასებას. ეს ხორციელდება სტუდენტური გამოკითხვებისა და სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმების საშუალებით, რომლებიც აფასებს ლექციებს, სემინარებსა და კლინიკურ/პრაქტიკულ სწავლებას. ამ შეფასებების შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და პედაგოგიური მიდგომების გასაუმჯობესებლად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული არა მხოლოდ სწავლებაში, არამედ სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის შეფასებაში, ცვლილებების შეტანის პროცესებსა და უნივერსიტეტის ღონისძიებებში მონაწილეობაში. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ხელმძღვანელები ფლობენ აკადემიურ და პროფესიულ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამების ხელმძღვანელობისა და განხორციელებისთვის. მათი ჩართულობა მოიცავს აკადემიურ ხელმძღვანელობას, სტუდენტთა მხარდაჭერას, სასწავლო პროგრამების გადახედვასა და ადმინისტრაციულ სამსახურებთან კოორდინაციას.

მაღალი მიღწევების შესანარჩუნებლად და პროფესიული ზრდის წასახალისებლად, კსუ აორგანიზებს რეგულარულ სამეცნიერო კონფერენციებს, საჯარო ლექციებს, მეთოდოლოგიურ სემინარებსა და მიზნობრივ ტრენინგებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სისტემურად არის ჩართული ამ შესაძლებლობების განმავითარებელ ინიციატივებში, რომლებიც უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსებით არის უზრუნველყოფილი. ფინანსური რესურსები ყოველწლიურად გამოიყოფა ტრენინგისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისა და მაღალრეიტინგულ აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯებისთვის.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - მათ შორის დეკანები, პროგრამების ხელმძღვანელები და აკადემიური პროცესების სპეციალისტები - მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ სტუდენტების ხელმძღვანელობაში კურსების დაგეგმვის, არჩევითი საგნების შერჩევისა და რეგისტრაციის პროცესში. ეს სერვისები ეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ სტუდენტებმა მიიღონ ინფორმირებული აკადემიური გადაწყვეტილებები და მიიღონ ადეკვატური ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერა სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შეჯამების სახით, პერსონალისა და სტუდენტების ამჟამინდელი რაოდენობრივი თანაფარდობა საკმარისია არსებული ჩარიცხვის პირობებში. თუმცა, პროგრამის მასშტაბის გაზრდა უფრო დიდი ნაკადის მისაღებად - როგორცაა 150 სტუდენტი წელიწადში - მოითხოვს აკადემიური პერსონალის პროპორციულ ზრდას, განსაკუთრებით ძირითად სასწავლო და სახელმძღვანელო თანამდებობებზე, ხარისხის სტანდარტების შესანარჩუნებლად, სტუდენტების მხარდაჭერის შესაძლებლობის შენარჩუნებისა და აკრედიტაციის მოთხოვნების შესასრულებლად.

ჩვენ გვჯერა, რომ ამ აუცილებელი კორექტირებით, პროგრამა გააგრძელებს ზრდასა და წარმატებას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები მიაღწევენ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანური რესურსი, მათ შორის როგორც სასწავლო, ისე დამხმარე პერსონალი, ფლობდეს ამის ხელშეწყობისთვის აუცილებელ კვალიფიკაციას და კომპეტენციებს. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული შესაბამისი რაოდენობრივი ინდიკატორები, პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად და პერსონალისთვის სწავლების, კვლევისა და სხვა ვალდებულებების ეფექტური დაბალანსების საშუალების მისაღებად.

პროგრამაში პერსონალის რაოდენობა (მათ შორის სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	ჩართული აკადემიური, პერსონალის რაოდენობა	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	51	43	24	27	
- პროფესორი	7	6	6	3	
- ასოცირებული პროფესორი	13	9	9	10	
- ასისტენტ-პროფესორი	5	5	5	5	
- ასისტენტი	12	12	-	9	
მოწვეული პერსონალი	14	11	4	-	
სამეცნიერო პერსონალი				-	

[1] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[2] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინგლისურენოვანი საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი #6 და სილაბუსები
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება
- პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადადგას პროაქტიული ნაბიჯები სასწავლო პერსონალში ექთნების ამჟამინდელი დეფიციტის მოსაგვარებლად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არ არის მითითებული

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არ არის მითითებული

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			

- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დანერგა სისტემატური და გამჭვირვალე ჩარჩო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის. პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს და ტარდება ყოველ სემესტრში წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. პროგრამის სულ მცირე ხუთი ძირითადი სპეციალობის კურსი რეგულარულად ფასდება საკლასო დაკვირვების, გამოკითხვებისა და სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით. პერსონალი წინასწარ არის ინფორმირებული შეფასების პროცედურების შესახებ სიცხადისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცენტრალურ როლს ასრულებს პერსონალის საქმიანობის მონიტორინგსა და მხარდაჭერაში. შეფასების პროცესი ტარდება ყოველ სემესტრში და ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურას, რომელიც მოიცავს შემდეგ

ძირითად ელემენტებს: ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის მიერ ლექციებზე დასწრებას, წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებასა და შედეგების პერსონალის წევრებისთვის გაზიარებას. პროცესი სისტემატურია და უზრუნველყოფს, რომ პროგრამის მინიმუმ ხუთი ძირითადი სპეციალობის კურსი იყოს შეფასებული ყოველ სემესტრში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინასწარ აცნობს პერსონალს შეფასების მეთოდოლოგიასა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს სიცხადესა და გამჭვირვალობას. შეფასებები შეიძლება იყოს სრული ან შერჩევითი და ყოველთვის კონფიდენციალურია პერსონალის წევრებს შორის.

შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ საქმიანობის შეფასებისთვის, არამედ მიზნობრივი გაუმჯობესებისთვისაც. პროგრამების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, აანალიზებენ ხარვეზებს და ნერგავენ მაკორექტირებელ სტრატეგიებს. დეკანები ასევე მონაწილეობენ შეფასების პროცესში სტანდარტული ფორმატების გამოყენებით. კონფიდენციალურობა მთელი პროცესის განმავლობაში შენარჩუნებულია.

